ნიკოლოზ ბარათაშვილზედ

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.
ნ. ბარათაშვილი.

ვია, დავკარგეთ!.. უღმრთო იყო შენი სიკვდილი!
ვის უწყს, რავდენისაუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივ დქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?

ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად ყვავილნი
ჩაჭკნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უდროოდ?

არა დედ-მამა, -მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვინღა მოგვითხრას ჩვენი ურვა, ჭირი და ლხენა?
ვია ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვიდრეთითაც აღგადგენს შენა.

1860წ.